საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 11

ქ. თბილისი **12 დეკემბერი, 2018 წელი.**

სხდომას ესწრებოდნენ: ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, კაპანაძე დავით, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, პაპავა გივი, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილებების განხილვა;
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თამარ ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ;
4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა" დოქტორანტ **ნინო ოხანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თინათინი მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
7. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" პდოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
8. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ირაკლი ყანდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოსოფიის" დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცება.

10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ზურაბ ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცება.

11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ისტორიის“ დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცება.

12. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ ქებურიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

13. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის“ დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ. აღნიშნა, რომ ფაკულტეტების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა დებულების ცვლილებებისა და დამატებების პროექტში, რომელიც გაეგზავნებათ ელფოსტით.

აზრი გამოთქვა: დ. კაპანაძემ, თ. ჯობავამ, ალ. ნადარაიამ, ი. ანანიაშვილმა.

დაადგინეს: დებულების პროექტის განხილვა უმოკლეს ვადაში მოხდეს რექტორთან და ფაკულტეტების დეკანებთან შეხვედრაზე.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „მათემატიკის“ დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის - „ზოგიერთი სეისმური პროცესის ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება“ - დაცვის კომისია და დაცვის თარიღი - 2018 წლის 21 დეკემბერი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „მათემატიკის“ დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი - 2018 წლის 21 დეკემბერი და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) ომარ ფურთუხია (თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი);

ბ) ბესარიონ დოჭვირი (თსუ ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი);

გ) მალხაზ შაშიაშვილი (თსუ ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი);

დ)მამუკა ნადარეიშვილი (ილიას უნივერსიტეტის პროფ., ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი);

ე)ალექსანდრე ტყეშელაშვილი (ა. წერეთლის სახ.უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი);

ვ) ქართლოს ყაჭიაშვილი (სტუ პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი);

ზ) ზურაბ ზერაკიძე (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი).

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თამარ ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის - „ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და ბუნებათსარგებლობის პრობლემები" - დაცვის კომისია და დაცვის თარიღი - 2018 წლის 27 დეკემბერი;

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თამარ ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი - 2018 წლის 27 დეკემბერი და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) ნოდარ ელიზბარაშვილი (თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი);
ბ) დავით კერესელიძე (თსუ პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი);
გ) ლია მაჭავარიანი (თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი);
დ) ლამზირა ლაღიძე (თსუ ასოც. პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი);
ე) რობერტ მაღლაკელიძე (თსუ ასოც. პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი);
ვ) მარიამ ელიზბარაშვილი (თსუ ასოც. პროფ., გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი);
ზ) ბესიკ კალანდაძე (თსუ ასოც. პროფ., გეოგრაფიის დოქტორი);
თ) თენგიზ გორდეზიანი (თსუ ასოც. პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი);
ი) მაია ხეჩიკაშვილი (სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტის ასოც. პროფ., გეოგრაფიის დოქტორი).

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა" დოქტორანტ **ნინო ოხანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის - „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)" - შემფასებლები. აღნიშნა, რომ ერთ შემფასებელს, კერძოდ, ნინო ფავლენიშვილს მინიჭებული აქვს ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი. საბჭოს წევრებს გააცნო ფავლენიშვილის რეზიუმე (CV) და საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ ზურაბ დავითაშვილის მოხსენებითი ბარათი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ნინო ფავლენიშვილი ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოც. პროფესორია. იგი არის ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი და 10 წლის განმავლობაში მუშაობდა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტზე. შემდეგ მან შეიცვალა სპეციალობა და დაამთავრა ჯერ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურა, შემდეგ კი ილიონისის (აშშ) უნივერსიტეტში გაიარა პოსტდოქტორანტურის პროგრამა კონფლიქტების ანალიზში. კითხულობს კონფლიქტების ანალიზისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კურსებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. კავკასიის კონფლიქტების კურსი წაიკითხა ჰელსინკის უნივერსიტეტშიც. რამდენჯერმე იყო

სადისერტაციო კომისიების წევრი. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია კონფლიქტოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა" დოქტორანტ **ნინო ოხანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები:

ა) ჯენ ბრევერი - საჯარო ადმინისტრირების დოქტორი, ჯორჯიის უნივერსიტეტის საჯარო და საერთაშორისო საქმეთა სკოლის პროფესორი (აშშ);

ბ) ნინო ფავლენიშვილი - ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

გ) ზურაბ აბაშიძე - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის არც თავმჯდომარე და არც მოადგილე.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თინათინი მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მარი წერეთლის ინფორმაცია დისერტაციის - „ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში - 2012-2014 წლების გამოცდილება" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან (დასკვნები ასევე გამოტანილია თითოეული თავის ბოლოს), რასაც ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართი. ნაშრომის თემატიკის აქტუალურობა, პირველ ყოვლისა, განპირობებულია თანამედროვე ეპოქის თავისებურებით - ვიზუალური კულტურის საყოველთაო გაბატონებით. ეს განსაკუთრებით მასმედიაზე ითქმის. დღეს ქართულ პრესაში აშკარად თვალსაჩინოვდება ლინგვისტური ტექსტის შემცირების ხარჯზე არავერბალური

შემადგენლის მატების ტენდენცია. მიუხედავად მოცემული კუთხით ჩატარებული ცალკეული კვლევებისა, საკითხის კომპლექსურად შემსწავლელი ნაშრომი ამ ეტაპზე არ მოგვეპოვება, რაც შრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. კონოტაციური სემიოტიკის მეთოდთა მოშველიებით, კერძოდ, რ. ბარტისეული მითების ანალიზზე დაყრდნობითა და კონტენტ-ანალიზის გამოყენებით დოქტორანტმა შეისწავლა საგაზეთო ფოტო, კარიკატურა, ინფორმაციის ვიზუალიზების ციფრულ-გრაფიკული საშუალებები და განსახილველი გამოცემების მთავარი გვერდები. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დოქტორანტმა ფრანგული ენიდან სრულად თარგმნა რელევანტური ნაშრომები, როგორიცაა: რ. ბარტის „ნათელი ოთახი, შენიშვნა ფოტოგრაფიაზე" და ბარტის სკოლის წარმომადგენლის, ელიზეო ვერონის, ნაშრომი „სემიოტიკური სახიდან დისკურსულობამდე". ეს ფაქტიც ღირსებას მატებს მის კვლევას. აქედან გამომდინარე დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ყველა კომისიის წევრმა შეაფასა როგორც ძალიან აქტუალური და საინტერესო თემა.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა, თუ რატომ არის დისერტაციაში ასახული ბევრი ფოტო-სურათი?

მოისმინეს: დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მარი წერეთელმა აღნიშნა, რომ დისერტაცია ეხება ინფორმაციის ვიზუალიზებას, ასევე ფოტოსემიოტიკურ ანალიზს, და რადგანაც მედიაში ტექსტი არ განიხილება ფოტოს გარეშე, დისერტაცია მოიცავს ერთობლივ ანალიზს. მან ასევე აღნიშნა, რომ დისერტაცია ამ კუთხით ძალიან დადებითად შეაფასეს რეცენზენტებმა.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა, თუ რატომ არ არის დისერტაციაში ბიბლიოგრაფია დანომრილი?

მოისმინეს: დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მარი წერეთელმა განმარტა, რომ დისერტაცია შესრულებულია ყველა იმ მოთხოვნის შესაბამისად, რაც დებულებით არის გათვალისწინებული. რაც შეეხება ბიბლიოგრაფიას, იგი შესრულებულია „APA" - სტილის ყველა მოთხოვნის დაცვით, რაც არ ითვალისწინებს ბიბლიოგრაფიის დანომვრას.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა დოქტორანტს თუ აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სად?

მოისმინეს: დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მარი წერეთელმა აღნიშნა, რომ თინათინი მაჭარაშვილს აქვს გამოქვეყნებული ოთხი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც არის დისერტაციის ნაწილი. აქედან ერთი სტატია გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალ „სემიოტიკაში", ორი სტატია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ სტუდენტურ სამეცნიერო ჟურნალში „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი", ხოლო ერთი სტატია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტუალში". მან ასევე განმარტა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად დოქტორანტი ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, თუ არ გამოაქვეყნა მინიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირებად ჟურნალში და არ წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი საბუთი. აღნიშნულ სტატიებს ამოწმებს ფაკულტეტის სამეცნიერო განყოფილება.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თინათინი მაჭარაშვილისთვის** მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის - „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები" - დაცვის კომისია.
აზრი გამოთქვა: თ. ებრალიძემ აღნიშნა, რომ საკითხის სათაურიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა კომისიის წევრად საბანკო საქმის სპეციალისტის შეყვანა.
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას კომისიის ყველა წევრს უპირობოდ სამართლის დოქტორის ხარისხი უნდა ჰქონდეს. წარმოდგენილი კომისიის შემადგენლობიდან რამდენიმე მოსამართლეა, რომლებიც იხილავენ აღნიშნულ სფეროში დაკავშირებულ დავებს.
აზრი გამოთქვა:ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
ა) ირაკლი ბურდული - პროფესორი (თსუ);
ბ) გიორგი მახარობლიშვილი - ასოცირებული პროფესორი (თსუ);
გ) გიორგი ცერცვაძე - ასოცირებული პროფესორი (თსუ);
დ) ლევან გოთუა - ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი (კავკასიის უნივერსიტეტი);
ე) ეკატერინე შენგელია - ასოცირებული პროფესორი (თსუ);
ვ) თამარ ზამბახიძე - ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი (თსუ);
ზ) ეკა ზარნაძე - საქართველოს უნივერსიტეტისა და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ირაკლი ყანდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ნათია ჩიტაშვილის ინფორმაცია დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვლის პროცესის მამდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულ მცდელობას შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით და ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს მეცნიერული კვლევა აღნიშნული ინსტიტუტის და შემუშავდეს რეკომენდაციები მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ფორმების დანერგვისთვის საქართველოში. დისერტაციის მეცნიერულ სიახლეს ნამდვილად განაპირობებს ის გარემოება, რომ ნაშრომი მიუხედავად იმისა, რომ არ არის პირველი დისერტაცია მედიაციის შესახებ საქართველოში, თუმცა წარმოადგენს

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების სასამართლო და არასასამართლო ფორმების სიღრმისეული სამეცნიერო კვლევის პირველ შემთხვევას ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რამაც მათ შორის ხელი უნდა შეუწყოს მედიაციის, როგორც ახალი ინსტიტუტის გამართულ პრაქტიკულ ფუნქციონირებას ქვეყანაში. იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის თანამედროვე მოდელი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება აბსოლიტური ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ რეალობაში, მისი შესწავლა ერთდროულად მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე ქართველი პრაქტიკოსი იურისტებისათვის, რომელთაც კიდევ უფრო აქტიურად მოუწევთ მედიაციის პროცესში ჩართვა მედიატორისა თუ მხარის წარმომადგენლის ფუნქციით, შესაბამისად, ნაშრომს აქვს დატვირთვა შეასრულოს ის მნიშვნელოვანი როლი, რასაც წარმოადგენს თემით დაინტერესებული იურიდიული საზოგადოების და მომავალი იურისტების აღჭურვა ახალი მეცნიერული კვლევით მედიაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კვლევაში გამოყენებულია ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის შედარებით-სამართლებრივი ინსიტიტუტის ბიბლიოთეკაში მედიაციის საკითხებზე არსებული უახლესი კვლევითი რესურსები და სამეცნიერო ლიტერატურა.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ირაკლი ყანდაშვილისათვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოსოფიის" დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი - 2018 წლის 21 დეკემბერი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოსოფიის" დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად 2018 წლის 21 დეკემბერი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის" დოქტორანტ **ზურაბ ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი- 2018 წლის 18 დეკემბერი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ზურაბ ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად 2018 წლის 18 დეკემბერი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ისტორიის“ დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი - 2018 წლის 19 დეკემბერი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ისტორიის“ დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად 2018 წლის 19 დეკემბერი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ ქებურიას** სადისერტაციო ნაშრომის - „დარწმუნების ლინგვოპრაგმატული მახასიათებლები და პრაქტიკული არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (ქართული და ამერიკული საჯარო მიმართვის საფუძველზე)“ - დაცვის კომისია.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ ქებურიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო დარასელია - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი;
ბ) ნათია ნემსაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
გ) ირინა გველესიანი - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
დ) ციცინო ხვედელიძე - თსუ ემერიტუსი პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
ე) ნინო თევდორაძე - ილიას უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
ვ) ილონა ქენქაძე - სეუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
ზ) ნინო ჯოჯუა - სან დიეგოს უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნდა განეხილათ საკითხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის“ დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე; თუმცა სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის და მდივნის საპატიო მიზეზით არგამოცხდების გამო, საკითხის განხილვა ვერ მოხდება.

დაადგინეს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის“ დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისათვის.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი